

გაზეთის ფასი:

ბაზაზე	თფლისში	ბაზაზე	თფლისში
და გარეშე ადგილებში:		და გარეშე ადგილებში:	
ერთის წლისა — 7 მან.	6 მან.	ერთის წლისა — 7 მან.	6 მან.
ნახევრის წლისა — 4 —	3 — 50 კ.	ნახევრის წლისა — 4 —	3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	2 —	სამის თვისა — 2 — 50 კ.	2 —

სალოე ერთის წლისა გაუზღველათ — 3 შაური.  
 „დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# ქრონოსი

თფლისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-  
 შვილის და კამ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთაის სახ-  
 ლში.  
 თფლისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Вь Тифлисъ. Вь  
 контору редакци грузинской газеты „ВРЕМЯ“.  
 რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება  
 სხვა და სხვა ენებზე. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-  
 ბრისის ასობით გაზეთის სტრიქონზე 8 კამ.

## საკოლონიკო და სალიტერატურო გაზეთი.

რედაქცია უმოჩილესად სთხოვს „დროე-  
 ბის“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზე-  
 თის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ  
 ეს ფული.

შინაარსი: — პოლიტიკა: შრანცია, პრუსია,  
 ამერიკა, იტალია. ტელეგრაფები. სალიტერატ-  
 ტურო ნაწილი: წარსული და მიმავალი ინგილო-  
 ვების ცხოვრება. სხვა და სხვა ამბავი.

### პოლიტიკა.

შრანცია. როცა სჯულის-დამდები  
 კრების ყრილობა დაიწყო, იმ დროს  
 წარმოთქმული სიტყვა ნაპოლეონისა.  
 18 ოქტომბერს ლუერის სახლის დიდ ზა-  
 ლაში შეგროვდა სჯულის-დამდები კრება და  
 ყრილობის წინათ ნაპოლეონმა წარმოსთქვა  
 აი ეს სიტყვა: „შუ. სენატორო, უუ. დეპუ-  
 ტატო! რადგან საჭირო იყო უდროოთ შე-  
 ყვეტილი განხილვა უმთავრესის სჯულისა  
 ისევ განგვეგრძო, ამისათვის მოგიწოდეთ შე-  
 საყრელად ჩვეულებრივს ვადაზე ადრე. ამას

გარდა რაც ამ უკანასკნელს ჟამს ამბავი მო-  
 ხდა, იმაში მინდოდა თქვენი შემწეობა მქო-  
 ნოდა და მომესმინა თქვენი რჩევა. რაც ერთ-  
 მანეროს გავმორდი, მას აქეთ აღიძრა უსა-  
 ფუძელო შიშინაობა და ამან ეპრობა და მო-  
 ხელობა შეაჩერა. თუმცა ჩემი მმართველობა  
 ნიადგ მშვიდობის მოყვარებას აცხადებდა,  
 მაგრამ მინც ხმა დააგდეს, ვითომც შერმა-  
 ნიაში მომხდარი ცვლილება მერობის სახელ-  
 მწიფოებს ერთმანეთთან წაჰკიდებდა. ამ საქ-  
 მის კარგათ ახსნა საჭიროა. რენს გაღმა მც-  
 ხოვრებს ხალხს რაც ცვლილება თავის ნებით  
 მოუხდენია, ყველაში თანახმა ვართ და, მინამ

სჯულის გადაკეთების მეტი არა არის რა. მა-  
 გრამ ამ გადაკეთებით ჩემი ვანზრახვა სრულ-  
 დება: მშვიდობიანობის დროს ახალი სჯულის  
 ძალით სამსახურის ვადა უნდა შემცირდეს და  
 ომიანობის დროს კი უნდა მოემატოს. მანი-  
 ხილეთ ეს პროექტები და აგრეთვე ის პრო-  
 ექტოცა, რომელიც გამოაწყობს მოძრავს სა-  
 ნაციონალო გვარდიასა. მანსჯის დროს თქვენ  
 აზრში უნდა გქონდეთ, რომ რამდენათაც  
 ძლიერი ვიქნებით, იმდენათ უფრო დიდი იმე-  
 დი გვექნება მშვიდობიანობისა. ერთს დროს  
 ეს მშვიდობიანობა საფრთხეში ჩაეარდა. რე-  
 ვოლუციური მოძრაობა ცხადათ მზადდებო-  
 და და ემუქრებოდა პაპის სამფლობელოსა.  
 რადგან 15 სექტემბრის კონვენცია არ ას-  
 რულეს, ამისთვის იძულებული შევიქნენი რომს  
 ისევ ჯარი გამეგზავნა და დამეგზავნა წმინდა  
 მამის უფლება იმის საზღვრებში შემოსულე-  
 ბისაგან. ჩვენი მოქმედება ისეთი არ ყოფილა,  
 რომ იტალიის ერთობის და დამოუკიდებლობის  
 საწინააღმდეგო ყოფილიყოს. ერთი დრო  
 იყო, რომ იტალიის ხალხი გაიტაცეს, მაგრამ  
 ისევ მალე ჩახვდა გონებაში და დარწმუნდა,  
 რომ შემოხსენებული რევოლუციური მოძ-  
 რაობა მართლაც საინები იყო ხელმწიფის უფ-  
 ლებისთვის და მთელი მერობის მშვიდობია-  
 ნობისთვის. ახლა პაპის მზრა თითქმის და-  
 შოშმანდა და შეიძლება, მალეც გამოეასხათ  
 ჩვენი ჯარი, მინამ ახალი ურთიერთ-ხალხო-  
 ბითი შეკრულობა არ დაარსდება, 15 სექტემ-  
 ბრის კონვენციას თავისი ძალა უნდა ჰქონ-  
 დეს. მერობა ახლა დიდს ყურადღებას აძლევს  
 იტალიის განწყობილებას პაპის მთავრობას-  
 თან; ამ მიზეზისა გამო ჩვენ ეურჩით მერო-  
 პის ხელმწიფეებს კონფერენციის გამართვა,  
 სადაც უნდა განიხილონ შემოხსენებული სა-  
 ქმე, რომ აწ მინც არა ვითარი შეხლა არ  
 მოხდეს იტალიასა და რომს შუა. აგრეთვე  
 აღმოსავლეთის საქმეცა აღძრა შიშინაობა;  
 ეს შიშინაობაც მალე განქარდა და ამაში უნ-  
 და ეუშალოდეთ მერობის სახელმწიფოებს,  
 რადგან ისინი აქაც მშვიდობის მოყვარენი  
 გამოჩნდნენ. როცა იმაზე ჩამოვარდა ლაპა-  
 რაკი, რომ პრიტს (მანდიას) როგორმე მშვი-  
 დობა მინიჭებოდა, ბევრნი არ იყვნენ ამაში  
 თანახმა: ზოგი ამბობდა, აი ეს საშუალება  
 უნდა ვიხმაროთო პრიტის დასამშვიდებლათ,  
 ზოგი ამბობდა არა ესაო, მაგრამ მე მინც  
 მოხარული ვარ იმითი, რომ ორს უმთავრესს  
 პუნქტზე ყველანი დათანხმდნენ: საჭიროა,  
 რომ ოსმალის საზღვრები უნებლად დარ-  
 ჩესო და ისიც საჭიროაო, რომ აღმოსავლეთ-  
 ში მცხოვრების ქრისტიანების მდგომარეობა  
 გაუმჯობესდესო. რადგან გარეშე პოლიტიკის  
 საქმეები ამ მდგომარეობაში არიან, ამისთვის  
 ჩვენ შეგვიძლიან ახლა ხელი მიგყოთ ჩვენს  
 შინაურს საქმესა და სასარგებლო ცვლილე-  
 ბები მოვახდინოთ. როცა უკანასკნელი სეს-  
 სია გათავდა, საყრველთაო ხმის მიცემით ამო-  
 არჩიეს ერთი მესამედი ნაწილი წევრებისა გე-  
 ნერალს (უმთავრესს) შტატებისთვის. ეს ამო-  
 რჩევა ძალიან მშვიდობიანად და თავისუფ-  
 ლათ მოხდა, გარეშე ზედმოქმედება არა ყო-  
 ფილა რა და ეს ამტკიცეს, რომ მცხოვრე-  
 ბლები კარგს გუნებაზე არიან. მე და იმპერა-  
 ტრია ჩრდილოეთის დეპარტამენტებისკენ

## განცხადება

### გაზეთის „დროების“ გამოსცემა

1868 წელში.

1868 წელს გაზეთი „დროება“ გამოიცემა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს  
 წლებში გამოდიოდა.

ეს ორი წელია, რაც გაზეთი „დროება“ გამოდის. საზოგადოება თავის თანაგრძნო-  
 ბას არ აკლებს; მხოლოდ ის ენაზე ცოტადნათ დრტინავდა: თუ გამოერეოდა იმერუ-  
 ლი ლექსთა-თხზვა, ეს ქართულებს ეხოთიერებოდა და თუ ქართული ლექსთა-თხზვა  
 იყო, ეს იმერლებს ეხოთიერებოდა. ამისთანა მოვლენა ცხადათ ამტკიცებს იმას, რომ საზო-  
 გადო ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჯერ არ გამოჩნდა. რადგან იმე ათი წე-  
 ლი ნაყოფიერი შრომა მიუცილებლათ საჭიროა სალიტერატურო ასპარეზზე, რომ ენა და-  
 დგეს და თავისი შესაფერი ლიტერატურული ფორმა მიიღოს. ამ შემთხვევაში საზოგადო-  
 ების დრტინვას მხოლოდ დრო განაქარებს. „დროების“ ნაკლულევენება ეს კი არა, უფ-  
 რო სხვა იყო. ის ვერ აქცედა ჯეროვანს ყურადღებას ცხოვრებისგან მოტანილს მრ-  
 ვალს გვარს ცვლილებებსა და საქმეებს; და როგორც რიგია, იმდენათ ვერ ჰხსნიდა, ვერ  
 აფასებდა იმათს მნიშვნელობასა. ერთის სიტყვით, იმას არა ჰქონდა დღიური ინტერესი. აი  
 რა იყო უმთავრესი ნაკლულევენება „დროებისა“.

ჩვენმა ცხოვრებამ უფრო ჩქარი წინ მსვლელობა დაიწყო: ამ სამის წლის განმავლო-  
 ბაში ბატონ-ყმობითი დამოკიდებულება გაუქმდა, სასოფლო სასამართლოები დაარსდნენ,  
 და სამსჯავრო ცვლილება, ეს არის, კარზე მოგვდგომია და კარგი სამართლის შემოტა-  
 ნით უნდა დაავიგინოს ბატონ-ყმობის გაუქმება. ამას გარდა ამ უკანასკნელს წლებში  
 მთავრობამ განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია ხალხის განათლებას, დაარსდა სასოფ-  
 ლო სკოლები, რომელიც სდებს საფუძველს ხალხის განათლებისას. ამ უმთავრესს ცვლი-  
 ლებებს ბევრი სხვა ახალი საქმეებიც თან მოსდევნენ. ჰოველს იმათგან თავისი მნიშვნე-  
 ლობა აქვს ცხოვრებაში. ყველა ეს დიდა და მომცრო ცვლილებები ადრე თუ გვიან სრუ-  
 ლად შესცვლიან ჩვენის ცხოვრების სახესა. მაშასადამე ყოველს ახლად მოვლენილს ამი-  
 სთანა საქმეს უნდა ახსნა, გაჩხრეკა, იმისი კარგისა და ცუდის მხარის ჩვენება. გაზეთიც  
 რასაკვირველია, განსაკუთრებით მაშინ ჰხდება საინტერესო საზოგადოებისთვის, როდესაც  
 ცხოვრების ყოველ-გვარის მოვლენების რიგინათ გარკვევას შეუდგება თავ-თავის დროზე.  
 ამ მოვლენების ერცლად ასრულება ჩვენ გაზეთს ჯერ კიდევ არ შეუძლიან, მაგრამ რე-  
 დაქცია მინც, შეძლებისა მებრ, ეცდება ამ გზით მოქმედებასა. ამასთანავე უნდა გამოუ-  
 ცხადოთ „დროების“ შეთხვევებს, რომ მომავალს წელს „დროებაში“ შემოვა სამს-  
 ჯავრო ნაწილი, სადაც ყოველი გვარი სამსაჯულო ცნობები იქნება დაბეჭდილი.

### ხელმოსაწერი ფასი:

ბაზაზე	თფლისში	ბაზაზე	თფლისში
და გარეშე ადგილებში:		და გარეშე ადგილებში:	
ერთის წლისა . . . . .	7 მანეთი — 6 მან.	ერთის წლისა . . . . .	7 მანეთი — 6 მან.
ნახევრის წლისა . . . . .	4 — — — 3 — 50 კამ.	ნახევრის წლისა . . . . .	4 — — — 3 — 50 კამ.
სამის თვისა . . . . .	2 — 50 კ. 2 —	სამის თვისა . . . . .	2 — 50 კ. 2 —

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ პარასკევობით.

### ხელი მოიწერება:

თფლისში „დროების“ რედაქციის კანტორაში მელიქიშვილის და კამ. სტამბაში, ხა-  
 ნის ქუჩაზე, ბებუთაის სახლში.

თფლისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ ადრესით: Вь Тифлисъ. Вь  
 Контору редакци грузинской газеты „ВРЕМЯ“.

გარდა რაც ამ უკანასკნელს ჟამს ამბავი მო-  
 ხდა, იმაში მინდოდა თქვენი შემწეობა მქო-  
 ნოდა და მომესმინა თქვენი რჩევა. რაც ერთ-  
 მანეროს გავმორდი, მას აქეთ აღიძრა უსა-  
 ფუძელო შიშინაობა და ამან ეპრობა და მო-  
 ხელობა შეაჩერა. თუმცა ჩემი მმართველობა  
 ნიადგ მშვიდობის მოყვარებას აცხადებდა,  
 მაგრამ მინც ხმა დააგდეს, ვითომც შერმა-  
 ნიაში მომხდარი ცვლილება მერობის სახელ-  
 მწიფოებს ერთმანეთთან წაჰკიდებდა. ამ საქ-  
 მის კარგათ ახსნა საჭიროა. რენს გაღმა მც-  
 ხოვრებს ხალხს რაც ცვლილება თავის ნებით  
 მოუხდენია, ყველაში თანახმა ვართ და, მინამ  
 ეს ცვლილება ჩვენს საკუთრებას და ლირსე-  
 ბას არ შეავიწროებს, მინამ იმათს საქმეში  
 გარეშეც აზრში არ მოგვდის. ძნელია იმის ახ-  
 სნა, თუ რა მიზეზით დაეარდა შემოხსენებუ-  
 ლი ზმა, ამისთვის რომ უკანასკნელს ჟამს  
 ჩვენგან გამოცხადებული მშვიდობიანობის სუ-  
 რილი სამაგალითო იყო და ყოველთვის მზათ  
 ვიყავით ყველასთვის მეგობრობა და სიყვარუ-  
 ლი დაგვემტკიცებინა. საქვეყნო გამოფენაზე  
 თითქმის ყველა მერობის ხელმწიფეები იყე-  
 ნენ და ყოველის მხრიდან აქ მოგროვდა ყო-  
 ველი გვარის ხელობის კაცი. იმათმა მეგობ-  
 რულმა შეყრამ ერთმანეთთან კიდევ უფრო  
 განამტკიცა მეგობრული კავშირი ხალხებს  
 შორის. გამოფენა დაიკეტა, მაგრამ იმისი გა-  
 ვლენა ხალხებზე ჯერ კიდევ დიდხანს არ და-  
 ავიწყდება. თუმცა ერთის მხრით ეს დიდებუ-  
 ლი გამოფენა საკმაოდ ცოტა ხანს ბრწყინა-  
 და შეუდარებელი შექთა, მაგრამ მეროს  
 მხრით იმან დაარღვია მრავალი ამოდ მორწ-  
 მუნებობა და შემცდარი ძველიდგან გადმოცემუ-  
 ლი აზრები. გამოფენამ გასტეხა ბორკილი,  
 რომლითაც იყო შეკრული შრომა, ჭკუა-გონე-  
 ბა; იმან დაახლოვა ერთმანეთთან სხვა-და-სხვა  
 ხალხი და სხვა-და-სხვა საზოგადოების წოდ-  
 ბა. იმან მოსპო ყველა ურთიერთ-ხალხობო-  
 თი შური. თუმცა ეს ამდენი შემთხვევანი  
 გვარწმუნებენ, რომ მშვიდობა და კეთილი  
 თანხმობა დამყარდა, მაგრამ ჩვენ მინც გუ-  
 ლში არ უნდა ამოვიცილოთ საშხედრო დაწ-  
 ყობილების გაუკეთესება ჩვენს მხარეში. მთა-  
 ერობას ხელი უნდა აეღო უპირველესის თა-  
 ვის მოვლენობის ასრულებაზე, თუ რომ იმას  
 ყურადღება არ მიექცია იმ ელემენტების წა-  
 რმატებაზე, რომელიც დაჰბადებს ძალას და  
 ძლიერებას სამშობლოსას. ამისთვის არამც  
 თუ მართო ჯარის წესის და იმის შევიარლე-  
 ბის გაუმჯობესობა საჭიროა, არამედ ზღვის  
 ძალაც უნდა გავამჯობინოთ. სჯულის დამ-  
 დები კრება, რომ სჯულის პროექტს განიხი-  
 ლავს, იმის ძალით ყოველს მცხოვრებს სა-  
 ხელმწიფოისას უნდა მოეცა ჯარის კაცი; ამა-  
 ში გარჩევა არ უნდა ყოფილ იყო. ეს ზომა  
 ერთობ შემავიწროებელი შეიქმნა, და ამის გამო  
 ურთიერთის თანხმობით შემოხსენებული სჯუ-  
 ლი გადასწორდა. მე საჭიროდ შევარსებე, რომ  
 ეს დიდი საქმე თქვენ ხელ-ახლა განგვიხლათ  
 და გაგვრკვიათ. მართლაც ამ მიძე საქმის  
 გადაწყვეტას დიდი ყურადღება და მზრუნვე-  
 ლობა უნდა, რადგან ის ყველას შესახებია  
 და სხვა-და-სხვა წოდებაში სულ სხვა და სხვა  
 გრძობას აღძრავს. ჩემი მმართველობა კი-  
 დევ ახალს სჯულის პროექტებს გადმოგცემსთ  
 განსასჯელათ; ეს პროექტები 1832 წლის

სჯულის გადაკეთების მეტი არა არის რა. მა-  
 გრამ ამ გადაკეთებით ჩემი ვანზრახვა სრულ-  
 დება: მშვიდობიანობის დროს ახალი სჯულის  
 ძალით სამსახურის ვადა უნდა შემცირდეს და  
 ომიანობის დროს კი უნდა მოემატოს. მანი-  
 ხილეთ ეს პროექტები და აგრეთვე ის პრო-  
 ექტოცა, რომელიც გამოაწყობს მოძრავს სა-  
 ნაციონალო გვარდიასა. მანსჯის დროს თქვენ  
 აზრში უნდა გქონდეთ, რომ რამდენათაც  
 ძლიერი ვიქნებით, იმდენათ უფრო დიდი იმე-  
 დი გვექნება მშვიდობიანობისა. ერთს დროს  
 ეს მშვიდობიანობა საფრთხეში ჩაეარდა. რე-  
 ვოლუციური მოძრაობა ცხადათ მზადდებო-  
 და და ემუქრებოდა პაპის სამფლობელოსა.  
 რადგან 15 სექტემბრის კონვენცია არ ას-  
 რულეს, ამისთვის იძულებული შევიქნენი რომს  
 ისევ ჯარი გამეგზავნა და დამეგზავნა წმინდა  
 მამის უფლება იმის საზღვრებში შემოსულე-  
 ბისაგან. ჩვენი მოქმედება ისეთი არ ყოფილა,  
 რომ იტალიის ერთობის და დამოუკიდებლობის  
 საწინააღმდეგო ყოფილიყოს. ერთი დრო  
 იყო, რომ იტალიის ხალხი გაიტაცეს, მაგრამ  
 ისევ მალე ჩახვდა გონებაში და დარწმუნდა,  
 რომ შემოხსენებული რევოლუციური მოძ-  
 რაობა მართლაც საინები იყო ხელმწიფის უფ-  
 ლებისთვის და მთელი მერობის მშვიდობია-  
 ნობისთვის. ახლა პაპის მზრა თითქმის და-  
 შოშმანდა და შეიძლება, მალეც გამოეასხათ  
 ჩვენი ჯარი, მინამ ახალი ურთიერთ-ხალხო-  
 ბითი შეკრულობა არ დაარსდება, 15 სექტემ-  
 ბრის კონვენციას თავისი ძალა უნდა ჰქონ-  
 დეს. მერობა ახლა დიდს ყურადღებას აძლევს  
 იტალიის განწყობილებას პაპის მთავრობას-  
 თან; ამ მიზეზისა გამო ჩვენ ეურჩით მერო-  
 პის ხელმწიფეებს კონფერენციის გამართვა,  
 სადაც უნდა განიხილონ შემოხსენებული სა-  
 ქმე, რომ აწ მინც არა ვითარი შეხლა არ  
 მოხდეს იტალიასა და რომს შუა. აგრეთვე  
 აღმოსავლეთის საქმეცა აღძრა შიშინაობა;  
 ეს შიშინაობაც მალე განქარდა და ამაში უნ-  
 და ეუშალოდეთ მერობის სახელმწიფოებს,  
 რადგან ისინი აქაც მშვიდობის მოყვარენი  
 გამოჩნდნენ. როცა იმაზე ჩამოვარდა ლაპა-  
 რაკი, რომ პრიტს (მანდიას) როგორმე მშვი-  
 დობა მინიჭებოდა, ბევრნი არ იყვნენ ამაში  
 თანახმა: ზოგი ამბობდა, აი ეს საშუალება  
 უნდა ვიხმაროთო პრიტის დასამშვიდებლათ,  
 ზოგი ამბობდა არა ესაო, მაგრამ მე მინც  
 მოხარული ვარ იმითი, რომ ორს უმთავრესს  
 პუნქტზე ყველანი დათანხმდნენ: საჭიროა,  
 რომ ოსმალის საზღვრები უნებლად დარ-  
 ჩესო და ისიც საჭიროაო, რომ აღმოსავლეთ-  
 ში მცხოვრების ქრისტიანების მდგომარეობა  
 გაუმჯობესდესო. რადგან გარეშე პოლიტიკის  
 საქმეები ამ მდგომარეობაში არიან, ამისთვის  
 ჩვენ შეგვიძლიან ახლა ხელი მიგყოთ ჩვენს  
 შინაურს საქმესა და სასარგებლო ცვლილე-  
 ბები მოვახდინოთ. როცა უკანასკნელი სეს-  
 სია გათავდა, საყრველთაო ხმის მიცემით ამო-  
 არჩიეს ერთი მესამედი ნაწილი წევრებისა გე-  
 ნერალს (უმთავრესს) შტატებისთვის. ეს ამო-  
 რჩევა ძალიან მშვიდობიანად და თავისუფ-  
 ლათ მოხდა, გარეშე ზედმოქმედება არა ყო-  
 ფილა რა და ეს ამტკიცეს, რომ მცხოვრე-  
 ბლები კარგს გუნებაზე არიან. მე და იმპერა-  
 ტრია ჩრდილოეთის დეპარტამენტებისკენ



ვიყავით. იქაური ხალხი სიყვარულით მოგვეგება და ეს გულკეთილი შეყრა გულში ღრმად ჩამოვირდა. მე დავრწმუნდი, რომ ხალხი ჩემზე და ჩემს დინასტიასზე გულ დანდობილია. მეც ჩემის მხრით მხოლოდ იმას ვზრუნავ, რომ იმისი სურვილი დავაკმაყოფილო. სასოფლო გზების ყანა სოფლის ხალხის სასარგებლოდ მოვახდინე. თქვენ ხართ იმათი განათლებული წარმომადგენელი და ამისთვის ვიტყვი, რომ სასოფლო გზების გაკეთება სამართლიან საქმეთა მიმართ, ეს ჩემგან მადლობის გადახდაა. ბრძანება მიეცემა, რომ ძალიან დიდ სივრცეზე უნდა შექმნიდნენ დაწერილებითი ცნობა სასოფლო გზების გასაკეთებლად. თქვენც ჩემს მმართველობას უნდა მოეხმარათ ამ საქმის გასამარჯვებლად და ეს თქვენგან დიდ შრომას არ მოითხოვს. რასაკვირველია, საქმე ყველგან კარგათ ვერ მიდის. მაქრობა და მოხილობა შეიქრდა. მაგრამ მართა ჩვენზე არ არის ეს ასე. როგორც კი კარგი განწყობილება დაარსდება მეროპის სახელმწიფოებს შუა, უსათუოდ ვაჭრობაც და მოხელობაც ისევე ხელს წამოიწყობს. მოსავალი კარგი არ ყოფილა. ქვეი არ არის, პურს ფასი მოემატება. თავისუფალი ვაჭრობა ისევე გააიფხებს და ხორბალს საკმაოდ მოგვიტანს. მართალია სხვა-და-სხვა გარემოებისა გამო თუ სახელმწიფო შემოსავალი იმდენი არ იყო, რამდენიც გვეგონა, მაგრამ მეტს თითქმის არც მე მოველოდი. იმედი მაქვს, ის დროც მალე დადგება, როცა შეგვეძლება ხარკის შემცირება. ამ სენსიაში თქვენ უნდა განიხილოთ ის კანონები, რომელნიც წარსულს იანვარს გამოვეცი. მას აქეთ იმის ექვიც არა შექონია, რომ ჩემგან მოხდენილი ცვლილება სასარგებლო არა ყოფილ იყოს. რასაკვირველია, რომ ჩემგან მიცემული ახალი სიმართლე აღძრავს მღელვარებას და იქნება ხალხი კიდევ გაიტაცოს, მაგრამ მე სრულეებით დამყარებული ვარ ხალხის განიერებაზე, საზოგადო კეთილ-ზნებობაზე, რომ ეს არ მოხდება. იმედი მაქვს, რომ მთავრობის ენერგია და სიმამაცე ბოლომდის გაიტანს თქვენთან ერთად დაწყებულს საქმესა.

ხუთშემდგომ წლის განმავლობაში მე ჩემი აზრი არ შემიცვლია და საზოგადო ხმით დამტკიცებული ძირითადი სჯული უნდა დავიცვა; მტერი ურიგოთ ვერ შეეხება იმას; ამასთანავე მე მინდა გავაგანიერო თავისუფალნი დაწესებულებანი იმ პირობით კი, რომ უზენაეს უფლებას არა ევენოსრა სასოფლო გზების გამართვით და სასწავლებლების გამარჯვებით ვიზრუნოთ საზოგადო კეთილმდგომარეობის გავრცელების და განმტკიცებისათვის; განვამოტივოთ სამართლის-გება და; რაც ხარჯი მას მოსდევს, ისიც შევიმტკიცოთ; საზოგადო ვიტყვი, მივიღოთ ისეთი ზომა, რომელიც გამაჯობინებს მთელს ხალხს ცხოვრებასა. თუ თქვენც გჯერათ, რომ ჩემგან ნაჩვენებია გზა არის გზა წარმატებისა და ჭეშმარიტის ცივილიზაციისა, მაშ ამ გვიან თანა-აზრობით, რომელიც იქნება საზოგადო კეთილმდგომარეობის საწინდართ, შემოხსენებულს გზაზე დაუყონებლათ წინ გავეშუროთ. იმედი მაქვს, რომ თქვენდამი წარმოდგენილს კანონებს დამტკიცებთ; ეს კანონები განადიდებენ ძლიერებას და სიმდიდრეს ჩვენის ქვეყნისას. მეც, იქვე ნუ გექმნებათ, მაგრამ დავიქვრ ხალხისგან რწმუნებულს ჩემდამო უზენაესს უფლებებისა. სარწმუნოთ იყავით, რომ გერავითარი დაბრკოლება, ვერა ვითარი უკანონო წინააღმდეგობითა ვერ შეარყევს ჩემს სიმამაცეს და სარწმუნოებას მყოფაზე.

— შეპირდაბრება ორის უკანასკნელის ნაპოლეონის იმპერატორის ტრონიტ სიტყვებისა. იმპერატორმა ნაპოლეონმა, სჯულის დამდების სესისის გახსნის დროს, წარმოსთქვა ორი ტრონიტ სიტყვები: 14-ს თებერვალსა და მეროვ 18-ს ნოემბერსა განმავლის წლისასა. ეს ტრონიტ სიტყვები შეპირდაბ-

რა გაზეთმა „Tems“ და წარმოსთქვა შემდეგი უკანასკნელი აზრი: „ორივე სიტყვები, ბერმანის საქმეების შესახებ, აღსებული არიან ერთნაირის დამამშვიდებელის დარწმუნებითა; მაგრამ იმპერატორმა უფრო გადაწყვეტილებით წარმოსთქვა თებერვალშივე. მეზობლების ხალხების ტომობითი შეერთება აღრე, თუ გვიან მიუცილებლად უნდა მოხდეს, ნაპოლეონმა 1-ს წინათვე წარმოსთქვა. ამ გვარი საქმე წინათ ვერ შეაშუოთებს იმნარს ქვეყანასა, როგორც არის შრანცია წარმომადგენელი გაუყოფელის ერთგვარის სხეულისა, რომლის ყოველი ნაწილი ერთმანერთთან მჭიდროდ შეერთებულია. უკანასკნელს სიტყვაში კი პირდაპირ ნათქვამია, რომ ეხლანდელი ბერმანის მოწყობილობა ჩვენ ვერ შეგვწუხებს, თუ შემდეგში იმისთანა არა გამოჩნდება, რომ ჩვენის ინტერესის და ღირსების ენება შეიძლოს. ჩვენმა პოლიტიკამ რომის საქმეში, როგორც სწავს, ორი ცვლილება დაითმინა, იმისი ჩვენება ურიგო არ იქმნება. თებერვლის სიტყვა, თუმცა დაჟინებით თხოულობდა, რომ პაპს საერო მფლობელობის დაცვა საჭიროაო, მაგრამ შრანციას მინც არა სდებდა არა ვითარს მოვიღობასა და არ აძლევდა ნებას, წინათვე ეგრძნო ახალი რომის ექსპედიცია. ტრონიტ სიტყვაში ნათქვამი იყო, რომ უკეთუ წმინდა მამის საერო მფლობელობასა შეაწუხებო დემოკრატიული ბოროტ-განზრახულობა, ერთის ხმით მაშინ მთელი მეროპა, მოაშორებს, ის იმ საქმესა, რომელსაც შეუძლიან მთელი საკათოლიკო ქვეყნის შეძერა. ეს ბოროტ-განზრახულება გამართლდენ და მართაკა ჩვენ გვერივნით მეროპის დაუკითხველათა.

ზუშინდელ სიტყვაში არაფერი არ იხსენებს საერო პაპის მფლობელობაზე; იმაში მხოლოდ ნათქვამია, რომ გადასწყვეტათ იმ საქმისა, რიგი განწყობილება უნდა ჰქონდეს იტალიას რომის პაპთან თუ რა მოწოდებულნი არიან სახელმწიფოანი. ამ ორ სიტყვაში ამასთანავე უფრო ის არის შესანიშნავი, რომ ნაპოლეონმა ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი აზრი წარმოსთქვა, ჯარის დაწყობილობის შესახებ. თებერვლის სიტყვა ამტკიცებდა, რომ ხალხის გავლენა იმის ჯარის სიდიდებზეა დამოკიდებული; უკანასკნელს სიტყვაში კი ეს სწავლა დოკტრინა ბევრათ შესუსტებულია. რაც შეეხება 19-ს იანვრის პროგრამასა, იმას უწინდულათ ისევე მისდევენ, მაგრამ თებერვლის სიტყვაში კი იმნარი არა წარმოთქმულარა რაც, ამ უკანასკნელს სიტყვაში წარმოსთქვა ნაპოლეონმა შესახებ სასტიკათ დასჯისა. სჯულის დამდებს კრებაში მოწინააღმდეგე პარტია ემზადება საწინააღმდეგოთ და არის ძალიან გაჯავრებული. პრეზიდენტი შნეიდერი აპირებდა ყრილობის წინათ სიტყვის თქმასა, მაგრამ, რადგან იცოდა, რომ წინააღმდეგს პასუხს მიიღებდა, ამისთვის აღარ აღასრულა თავისი განზრახვა; უუ. ტიერს და ბერიიეს ამ ცოტას ხანში ჰქონდათ კარგი ხანი რჩევა. არის ხმა, ვითომც მათ სურდეთ ყოველს შემთხვევაში, რომის საქმის გარდა ერთათ იმოქმედონ უკიდურესს ოპოზიციასთან. საპოლიტიკო საქმეებში მდგომარეობის აღწერა სჯულის დამდების კორპუსის წევრებთან წარეკითხებათ შემდეგ რამდენიმე დროისა, ამისთვის რომ ის უნდა შეთანხმონ იმპერატორის ტრონიტ სიტყვებთანა.

პრუსიამ. პრუსიის ციხეებში გაწინააღმდეგისანი თოფები, რომლებიც ახლათ მოიგონა უ. შონ-დრეიზენმა, და აღმოსხდნენ ძლიერ გამარჯვებულად. ამისთვის ფიქრობენ, რომ თითო ქვეითა ბატალიონს ორ ორი ამისთანა თოფები დაურთონ.

ამერიკა. დეკემბერში კონგრესს წარუდგენენ გასახილველათ შეერთებულის შტატების პრეზიდენტის მოწერილობა და მინისტრების ანგარიშებს. მეხვის მთავრობამ კომისიარი (ამბარდარი) გაგზავნა მაშინგორ-

ში, და მიანდო მას 12-ს მილიონის დოლარის სესხება.

მაძინის პროკლამაცია. მრთს ანგლიის გაზეთში დაბეჭდილია გაცხარებულს გულზე დაწერილი რესპუბლიკური პროკლამაცია, რომელიც მოუწოდებს მთელს იტალიელებს საეიის საკარლო სახლის ტანტიდგან გადასადგებთ და რომის დასაპრობებლად. ეს პროკლამაცია თავდება ამ სიტყვებითა: „რომს რომს—იტალიელებო! იქ მონათლება თქვენი ხალხობა. იქ პაპიტოლიანზე ამართულს ძლიერ-მოსილს დროშის ქვეშ ამორჩეული სახლობა კრება დასდებს მორიგებას, რომელიც ბოლოს მოუღებს ამდენის ხნის უხვირო მდგომარეობასა.“

იტალიის რესპუბლიკანების საიდუმლო ყრილობა ლუგანოში: ერთი მიღწეული კორრესპონდენტი ამბობს, რომ 10 ნოემბერს ლუგანოში მაძინის თავს მჯდომარეობით რესპუბლიკანების ყრილობა იყოფო. წარჩინებულმა დემოკრამა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გენერალი მენაბრეა პოლინიკათ გამოიყენა და ბარიბლდი ლათიკათ. თუ ასპროპოპოტოში მონარხიას (სახელმწიფოს) მიმდეთ დაპკრეს, მაშ მონტანოსთან იმას ასეთი მოხვდა, რომ იმის შემდეგ მონარხია მკედარიაო.“ ძორრესპონდენტის სიტყვით ყრილობაში დასდეს, რომ სიცილიაში და ძალაბრიაში არეულობა მოახდინონ, და აწესონ ყოველგან სარკეოლუციო კამიტები და შეაგონონ ხალხს, რომ სახელმწიფოს ხარჯი არ მისცეს.

ბენერალი ჩილდინი რაც საშუალო იტალიაში ჯარია ყველას მხედართ მთავრად დანიშნეს.

**ტ ე ლ ე ბ რ ა მ ე მ ბ ი,**  
პეტერბურგში მიღებული.

მანჩესტერი, 10 (22) ნოემბერს. მანჩესტერში გუშინ საღამოს მოხდა ხალხის გროვა, რომელმაც ერთის ხმით მოითხოვა შეცვლა მანჩესტერის სამსჯავროს გადაწყვეტილებისა ფენიელების დასჯის შესახებ.

პარიში 10 (22) ნოემბერს. შული-ფავრმა წარადგინა სამი კითხვა მთავრობასთან: ორი გარევე პოლიტიკის შესახებ და ერთი პირადის თავის უფლების შესახებ. ორი პირველი კითხვის მიცემაზე ყველა დათანხმდა და პირადის თავის უფლებებზე კითხვა კი არაინ მიიღო.

ლონდონი, 10 (22) ნოემბერს. მთავრობამ გადასწყვიტა ფენიელების სიკვდილით დასჯა, თუ რომ კოროლევა მიტოვია არ აპატეებს.

ფლორენცია 10 (22) ნოემბერს. ბაზეთში „Italia“ სწერენ, რომ პაპის მთავრობას სურს მისცეს იტალიის მთავრობას დაქერილი გარიბალდიელები, და ამის გამო ამ დღეებში საზღვრებში ელიან ექსას (600) გარიბალდიელებს.

ნუ—იორკი, 1 (13) ნოემბერს. წენერალმა ბრანტმა მისწერა, რომ ძოლომბის მაზრაში სამხედრო დაწყობილება გააუქმონ. არკანანში რომ ამორჩევა მოხდა, იქ რადიკალებმა მოიგეს; როგორც ამბობენ პრეზიდენტი ჯონსონი არ აცნობებს სენატს იმ მიზეზებს, რომლის გამოთ უწინდელი სამხედრო მინისტრის სტენტონი სამსახურიდან დაითხოვა.

კონსტანტინოპოლი, 11 (23) ნოემბერს. ძანდიის მცხოვრელებს ძალიან გაეხარდათ ომერ-ფაშის მაგიერად ზუსეინ-ფაშის მხედართ მთავრად დანიშნა.

ძანდიის კუნძული უნდა გაიყოს ხუთ გუბერნიად; ყოველს გუბერნიას განაგებს თავთავისი გუბერნატორი. ხუთ გუბერნატორში სამი ქრისტიანია: შარა-თეადორი, ძოსტაკი და სიორი, რომელნიც ფაშამ განაწესა სამსახურში და კარგი ჯამაგირი დაუნიშნა.

ლონდონი, 12 (24) ნოემბერს. ლონ-

დონში მოხდა დიდი დემონსტრაცია ფენიელების სიკვდილით დასჯისა გამო. რამდენიმე ათასი კაცი წავიდა ბაიდ-პარკში, სადაც შეკრად განკიცხეს მთავრობის განკარგულება ამ საქმის შესახებ. ძალაქში არეულობა არა ყოფილარა.

ბმლზბადი, 14 (26) ნოემბერს. ამ უკანასკნელს დღეებში სერბიის შეიარაღება თანდათან დიდდება. სერბიის სამხედრო სამინისტროში მაინც დიდს ფაცაფუცში არიან ამ შეიარაღების გამო. ამავე განზრახვით უცხო მეარტილერიე აფიცრებმა სთხოვეს სამსახური და სერბიის მთავრობა იმას თხოვნაზედ დათანხმდა. ხეალ ახალი პრეზიდენტი მინისტრი რისტოჩი ბელგრადს მოვა.

კონსტანტინოპოლი, 14 (26) ნოემბერს. დღეს მსხალოს მთავრობამ ხელი მოაწერა იმ მორიგებაზედ, რომელიცა შესდგა რკინის გზის გასაყვანად კონსტანტინოპოლიდან სპარსეთის ზღვის უბემდის. ამ გზას დასკირდება ოცდა თექვსმეტი (36) მილიონი გირფანქა სტერლინგი.

ლონდონი, 14 (26) ნოემბერს. 2-ს (14) ნოემბერს ნუ-იორკიდან მოვიდა ამბავი, რომ მაშინგტონის კონსერვატორის საზოგადოებამ პრეზიდენტს ჯონსონს სერენადი გაუშარათ; პრეზიდენტმა ჯონსონმა მადლობა შესწირა ამისთვის და დაპირდა წარმოთქმულ სიტყვაში კავშირს ყოველივე ნაკლულეგანების მოშორებასა. კონსტიტუციის განმტკიცებასა და სამხედრო უფლებისგან ხალხის დახსნასა.

— 13 (25) ნოემბრიდან ჯეფერსონ დენისის პროცესი უნდა განახლდეს. წენერალმა ბრანტმა მისწერა, რომ, რაც შეიძლება, დიდი თადარიგი დაიჭირონ სამხედრო სამინისტროსაგან გაცემულს იჯარაში; ლენერალს მკველელალს შეაძლიეს სამხედრო მინისტრის ადგილი.

ბარლინი, 14 (27) ნოემბერს. პრუსიის დეპუტატ-პალატამ დამტკიცა ას ოთხმოცერთის (181) ხმის უმეტესობით ლასკერის წინადადება, რომელიც განმარტებს კონსტიტუციის ოთხმოც და მეოთხე მუხლსა, იმ აზრით, რომ სიტყვაში და დაბეჭდვაში ხალხს მიეცეს სრული თავისუფლება.

ბუხარესტი, 13 (26) ნოემბერს. დღეს სამინისტროში მოხდა ამ ნაირი ცვლილება: ივანე ბრატანო დანიშნეს შინა საქმის მინისტრათ. ბოლესკო მინისტრების რჩევის პრეზიდენტათ და უცხო ქვეყნის საქმის მინისტრათ; არიან — სამსჯავრო მინისტრათ; დოვიჩი ალბ-მიცემობის მინისტრათ; ბრატანო დანიშნა რუმინის წარმომადგენლათ პარიეს და პრეკულისკო—შლორენციას.

ბამბურგი, 14 (27) ნოემბერს. ბაზეთში „ბამბურგის ამბები“ დაბეჭდილია დღეს მენილამ მოსული ტელეგრამა, რომელიც გაცნობებს, რომ ანგლიაც დათანხმდა დესპანის გაგზავნაზედ კონფერენციაში, რომელიც უნდა შესდგეს რომის საქმის შესახებ.

ტფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 22 ნოემბერს. 19 ნოემბერს, მიტროპოლიტმა შილარტმა სწირა თავის კარის ეკლესიაში, დაწირვის შემდეგ გადაიცვალა.

— რომიდგან გეცნობებენ, რომ პაპამ დიდებულად მიიღო თავის სახლში ყველა გენერლები, რომელნიც შრანცუხის და პაპის ჯარებს წინამძღომლობდნენ; ამას შემდეგ შრანცუხის ჯარმა დაადო რომი და ჩივიტა-ვეკიაში მოგროვდა, რომ იქ გემებში ჩამსხდარიყენენ შრანციას წასასვლელად. შლორენციაში



მოსაზრებული პლანი კაროლის წინააღმდეგ ადგომად და იმის უფლების მოსასპობად; ეს შეთქმა მოფენილია მთელს იტალიაში.

**პატივგზობი 27 ნოემბერს** ხელმწიფე იმპერატორმა განსაკუთრებით წყალობის ნიშნათ **ტიერის** საყაზახო ჯარისადმი ყოვლად უმოწყალებად უბოძა ლეიბ-გვარდიის **ტიერის** ესკადრონს გიორგის შტანდარტი საკუთრად მისის დიდებულობის კანონის; ამ შტანდარტზედ არის დაწერილი: **ტიერის** საყაზახო ჯარს წარჩინებულის სამხედრო სამსახურისათვის.

— **10 ნოემბერს**, ძანდიაზედ ქრისტიანებმა ომი განახლეს; ამბობენ, რომ **პევიტის** ვიცე-კაროლი აღარ უპირებს ხარჯის მიცემას **მსმალის** მთავრობას, იმ მიზეზით, რომ იმას მოსახმარებელი ჯარის რჩენა ძვირად დაუჯდა. ამოხატინებოლში რუსის საელჩოს წინააღმდეგ **ტიერის** სახელმწიფოების წარმომადგენელთ უმეტესი ნაწილი ითხოვს, რომ განიხილოს ეს საქმე, რომელიც შეეხება საკომერციო ხომალდების ღამით სიარულს **დარდნელი**დამ ბოსფორს.

— **28 ნოემბერს**, **შლორენცი**დგან გეცნობებენ, რომ მუტიემ **შლორენცი**ს კაბინეტს გაუზზავნა ნოტა, რომელიც აი რას აცხადებს: „**მუმცა** ნაპოლეონი წინააღმდეგება რომში ძალათ შესევას, მაგრამ იმისი წინააღმდეგი კი არ არის, რომ რომის საქმე საზოგადო შეთანხმებით დაბოლოვდეს.

**Constitutionnel** ამტყუნებს ანგლიის გავრცელებად გამოსულს ამბავს **ფრანციისა** და **პესტრიის** ტრაქტატის შესახებ, რომლის განზრახვაც თითქოს ოსმალის სიმართლის დაცვა იყოს. მაშინგტონის კონგრესის დებუტატთ პალატა არ დაეთანხმა პრეზიდენტის **ჯონსონის** სამართალში მიცემას.

**წარსული და მიმავალი ინგილოების სხობა.**

ეს ყველაფერი რასაკვირველია ინგილოს ცხოვრებას უზნადა. მაგრამ ამით კიდევ არ თავდება მათი გამწარება. ხარჯის მგროვებულნი თურმე წამოიყვანდნენ ჩქარ ჩქარა შეიდ რვა კაცს თავის მგობართავანს, და ინგილოს სახლში იმით მასპინძლობას უწევდნენ; ათარს და ლეკს არამც თუ მაშინ, ენლაც უხარბანთ, როდესაც ინგილოსას მივლენ, რადგან ესენი, როგორათც მაშინ, აგრეთვე ენლაც მშიგინი არიან. ამისა გამო ინგილო არაოდეს ლეკისაგან ცხვარს, მატყლს, ყველას ფულზე არ იყიდის, არამედ ფეტვზე. იშვიათად იქმნება ამისგარდა მას სულადიც მისცეს. ის ჩქარა ჩქარა იტყვის ხოლმე: „ლეკისა ჯანია და ფეტვი.“ მარელი ლეკები რასაკვირველია ამში არ ურევიან. ძაკელ თათრებს არამც თუ არა ჰყოფნიან წლამდე თავიანთი მონაგარი სულადი, არამედ ვალეებითაც სამსენი არიან. შულაც და პურიც აკლიათ. აქაურ თათარს ასეთი ხასიათი აქვს: ხუთმეტე კოლი პური რომ ჰქონდეს, ამასაც ვაჰყიდის და თვითონ ჩუმათ იჯდება. ინგილოსკი, თუ ფული აკლია, პური ლეთის მადლით ბევრი აქვს, და მომეტებულს ჰყიდის. მართი ისკი არის, რომ თათრები თუმცა წმინდათ ვერა ცხოვრებენ, მაგრამ იმითი სახლები ბევრათ სჯობია ინგილოს სახლებს, ამის მიზეზს ინგილო თვითონვე გიპასუხებს, რომ ჰკითხო: „მე რომ

კარგისახლები ამეშენებინა თათრისათი და შიგ მეცხოვრა, ლეკი ამისგამო მდიდარი კაცათ შემრაცხდა, და ხარჯს ბევრს წამართმევდაო; სტუმრათ მობძანება მათი ხომ არაოდეს არ შესწყდებოდაო.“ მხლა და ეხლა ბევრს ინგილოს აუშენებია ორ ეტაჟიანი სახლები თითქმის ევროპიულს სახესკ. მაგრამ ამის წინააღმდეგი რომ წაუყენო, ესე იგი რომ უთხრა ინგილოს: თქვენ დედაკაცებს გულზე ფულეები, რომ აკერიოთ, ეს უფრო კარგათ არ უმტკიცებდა ლეკებს თქვენ სიმდიდრესო; მაშინ ის გიპასუხებს, რომ ეს ჩვეულება ამ მეცხრამეტე საუკუნის 20 წლის ნაყოფიაო; მიგვიღია თათრებისაგანო, მერე დროების განმავლობაში ჩვეულებისათვის ჩვენვე წარმატება მიგვიციაო. წინაპირველათ ამდენი ფულის ტარება გულზე არა სცოდნიათ. მრავალი ინგილო ეხლა ლანძღავს ზოგიერთ პირს, რომ იმით მომეტებული შემოიღეს. მართლაც ეს ჩვეულება ისეთ წარმატებას მისცემია, რომ იტყვიოთ: ეს ჩვეულება ინგილოებს კი არ მიუღიათ თათრებისაგან, არამედ თათრებს ინგილოებისაგანაო. ის ეხლა ისეთ წარმატებას მიეცა, რომ ხალხი ძლიერ შეწუხდა. მართლაც ინგილოს საქონელს თითქმის მთლათ დედაკაცები გულზე იკიდებენ. მათ დედაკაცებს გულზე რომ შეხედოთ, იტყვიოთ: „იმათი გული ევრცხლათ ხომ არა ქვეულაო.“ როდესაც ინგილოს დედაკაცი მირონიებს, მაშინ ამ ფულს ჩხრიალი გააქვს. ჩვეულება თავის დიდებულ სახით უფრო ქორწილებში გამოგეცხადებათ. მრავალმა სოფელმა ეს მანებელი ჩვეულება მოშალა. მხლა თითქმის მხოლოდ ძაკში, ალიბეგლოში და მასმალშიღა მას აქვს ძალა. ძაკში ევრას გზით ევრდაუშალეს ერთმანერთს გულზე ფულების ტარება. ღღეს რომ სოფლობას ამოეკეთოს, ხვალ ნახავდი, რომ შენ მეზობელს იმის ნება მიუცია ქალისა, რძლისა და ცოლისათვის. ძახელები მაინც განიჩევიან თავის ვაჟკაცობით, ნიჭიერებით და კერპი ხასიათით ყველა ინგილოებისაგან. როგორათც თუშები არიან გათქმულნი საქართველოში თავიანთ ვაჟკაცობით, აგრე კიდე კახელები მთელ ზაქათალის მაზრაში.

შველანზე უფრო კაცის გულის შემავლობითელი მოპყრობა ყოფილა სულთან ალიბეგ ქუცემისა, ეს კაცი ხალხს ასოჯეს და რაცხს ლეთის გამოგზავნილ რისხვით. ის ძლიერ გარყენილი კაცი ყოფილა. ამას როგორათაც ყოველს მამადის სარწმუნოების მფლობელს, არიმი ჰქონია ილისოში. მაგრამ ამით რომ გული ვერ მოუწელებია მის უსაზღვრო სხეულის სიტკობებას, მაშინ გაუეთებინებია ილისოში მთაზე დიდი აუზი (ეს ენლაც ეტყობა) და შიგ შეუშვია გემები. აქ თურმე, ალაშის და შკის სახით აქცევედა ინგილოს ქალებს, ჩანსხამდა გემებში და ქეიფს ეწეოდ. ამ განზრახვისათვის ის ყოველწელიწადს ინგილოებისაგან ქალების ხარჯს იღებდა. ამასვე ძაკის თათრები ინგილოებს ძრიელ თურმე დასციროდნენ. ეს ძაკელებს არ მოუთმენიათ და დაუბეზლებიათ მასთან. ალიბეგს ძრიელ სწყენია და ცინვა. ამისათვის დაუბარებია მთელი ძაკის თათრები თავიანთ გასათხოვარ ქალებით. დაუბარებია აგრეთვე ძაკის ინგილოებიცა. შველანი რომ მოსულან, მერე მოუტანინებია სამი კოლი თხილი, და როგორც სულადი, ისე დაუთესინებია მინდორში. შემდეგში თურმე თათრებს ქალებს პერანგის მტეზედ არაფერი შეარჩინა (მათ პერანგები ძრიელ მოკლე იცინ) და ფესზე დგომით ქალებს დათესილი თხილი მოაგროვებინა, ინგილოებს კიდე უკანდამ აყურებინა. ამ გვართ დასაჯა თურმე ამ უცხო კაცმა თათრები, ინგილოებისათვის და ცინვისაგანაო. აბა ახლა იფიქრე, ამ გვარი კაცი რაღა იქმნებოდა ინგილოებისათვის?! შექველია, რომ ინგილო მის ხელში თავის გაჩენის ღღეს დასწყევლიდა. რით დავამტკიცოთ, რომ ინგილოები მარ-

თლაც ამ გვარ ტანჯვაში ყოფილან. არის ამ ხალხში ამის დასამტკიცებელი? სხვა დაჩაგრულ ხალხებს თავის ტანჯვაზე ბევრი სამწუხარო სიმღერები შეუდგენიათ, და აქეთ ესენი ინგილოებსაც? ინგილოებში ამ გვარი სიმღერები არ არის, ამისათვის რომ მათ ისინი შიშისა გამო ვერ შეუდგენიათ. მაგრამ ჩონგურზე ძრიელ დიდათ და სამწუხაროთ გამოუხატავთ თავისი ტანჯვა და მწუხარება. ჩანგური აი რას გამოამტყველებს: ილისო გავერანდეს, ინგილოურათ „ილისობარბადი იქნას“. რომ ამათ დაუფარავთ ეს მწუხარება და სიმღერაში არ გამოუთქვამთ შიშისა გამო, ამას ამტკიცებს „ყარა დილი“ (\*). ანუ ქაჯური ენა. შარლა დილი ინგილოებს შეუდგენიათ ამისათვის, რომ მათი ლაპარაკი ლეკმა ვერ შეიტყოს, და არის შედგენილი ქართულ სიტყვებისაგან. ძრიელ კარგი იქმნებოდა, რომ ქართველებს ქაჯური ენისა და ინგილოების ყარა დილისათვის ყურადღება მიექციათ და მათი თვისებანი აეწერათ. იქმნება აქედან შეგვეტყო, რავგართ წარმოსდგენ მეგრული და სვანური ენები ქართულ ენისაგან. შარლა დილის თვისებაზე მე ეხლა მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ქართული სიტყვა რომელ ასოდამაც დაიწყება, იმ ასოთი დაიწყება ამ ენის სიტყვაცა, და მერე მთელი ასოები ქართულ სიტყვისა ერთ ანუ ორ ყარა დილის სიტყვის ასოების შემდეგ შუა ჩანსხება. მაგალითებრ ქართული სიტყვა: ინგილო, ყარა დილით გამოითქმის: (იაფი) ინგი (ფი) (ლოფოფი). მაშასადამე ეს ენა არის შედგენილი: [ფარზე. ამ ენის თვისება ისე შეთვისებული აქვს მცოდინარე ინგილოს, რომ შეუძლიან ყოველი ენების სიტყვები, თუ კი ენა იყოს, იხმაროს და კაცს თავისი აზრი შეატყობინოს. ეს ენა ეხლა ძრიელ ბევრმა იცის ინგილო თავიანთა. ახალ შთამომავლობას ეს ენა ენლაც მოსწონს, ამისა გამო ისინი ერთმანერთისაგან ამ ლაპარაკს სწავლობენ. წარმოუდგენ მკითხველს ამ ენის ნიმუშს, რომლიდამაც ის შეიტყობს მის თვისებას: იაფონგილოფოფი (ინგილო) სხეფას (სხეფას) მოფოჯაფა გიფირეფეთ (მოჯამაგირეთ) აფარ (არ) ყოფოლოფილაფა (ყოფილა) მაგაფალიფითიფი (მაგალითი), როფომბ (რომ) იფინგილოფოფი (ინგილო) ვითისმეფეს (ვისმეს) მოფოჯაფაგირეფეთ (მოჯამაგირეთ სდგომობოფოდეფეს (სდგომოდეს) აფამიფის (იმისი) აფარ (არის) იფის (ის) როფომბ (რომ) თაფითოფონ (თვითონ) აფქეთ (აქეთ) საფარხოფო (სარჩო) ცხოფოკრეფეფიფისაფა. (სხოკრებისა) იფინგილოფოფოფეფიფი (ინგილოები) მაფოფონც (მანც) აფამ (ამ) მიფიფეფეს (მიზეფეს) აფამბოფოფეფენ (ამბობენ). ეს ერთის მხრით ამტკიცებენ ინგილოების ტანჯვას, მეორეს—ამტყუნებს იმათ, რომელინიც ამტკიცებენ, რომ ინგილოები ლეკებზე უნიჭონი არიან.—

ღანიელ ბეგის გაქცევის შემდეგ ინგილოებმა განიღვიძეს. მათ ახლა დაიწყეს თავის მავალ სევეზე ფიქრი. მისენი აქამდე არც ნამდვილი ქრისტიანები იყენენ და არც მუსულმანები. მაგრამ სჩანდა კი, რომ ქრისტიანობა უფრო სწამდათ, როგორც მამიპაპის სარწმუნოება, მაგრამ დიდის ნაკლულევიანებით. სანთელ საკმელს ხმარობდნენ, მარხვას ინახავდნენ, უწინდელ მონაგრეულს ეკლესიებში მიდიოდნენ და კიდევაც დაიარებიან სალოცავათ. აქ ამათ საღმრთო უკლავთ, უღებიათ წითლათ კვერცხები დიდმარხვის და მარიამობის გახსნაში. ამ ორი მარხვის მტეი იმათ არც უნახავთ და არც ინახვენ. ამის გამო 1850 წლამდე ბევრ ინგილოს სოფლებში, მაგალითებრ ძანში, მეშაბაში, შოთოკლოში, ალიბეგლოში, შორალანში, ლალაფაშაში, სოკანში ხალხს მჭიბთები არა ჰქონია, რადგანაც მათ მცხოვრებლებს მუსულმანობა არ სწამებიათ. (\*). ეს სიტყვები ორიგენი თათრულია. შარლა ყვავია, დილი ენა.

მეზიათ. მონათლულ ინგილოებში მცხოვრები შემდეგ კი სოსკანში, შორალანში, შორალანში, შორალანში შიში მჭიბთები ააშენეს. მაგრამ ესეც კი არის, რომ ზოგი ერთს თავისი მკვდარი, შიშისა და უმღველოებისა გამო მონათლამდე მოლისათვის უმარხვინებია. ამასთანავე ჩვენდა სამწუხაროდ, ისევე შიშისაგანაო, საფლავების ქვეში შედწარწერებით სრულებით დაუფიწყებიათ. ეს რასაკვირველია კარგი არ არის. საფლავებზე ქვის დადება რომ სცოდნოდეთ, როგორც საქართველოში, იქმნება მრავალი კარგი ფაქტი გვენახა. შევიტყობდით მაგალითებს სხვათა შორის, რომელ წლამდე ქართული წიგნი სცოდნიათ ინგილოებს. მხლა ამ მოკლე დროითგან დაუწყევიათ მათ საფლავებზე კეთება წოპწოპებისა თათრულათ შედწარწერებით. მისაც ქართულათ დაუწერინებია, ის მტერს მოუშლია, დაუმტერევია ქვა, რომელიწედაც სწერებია. მონათელის შემდეგ შორალანში ერთ სამ ოთხ საფლავზე ქვა დაუდვიათ და ქართულათ დაუწერინებინათ, მაგრამ კაცის უგუნურებას და მახმადიანურს ფანატისს ისინი დაუმტერევიან.

მაგონებ მეტი არ იქნება, რომ აქ მოვიხსენიოთ ისიც, რავგართ მოხსენებენ ხოლმე ინგილოები, თავიანთ მიცვალებულებს, რადგან ეს არის ერთი მანებელი ჩვეულებთაგანი. ამათში არის შესანიშნავი. აბრამის ტაბლა, ინგილოურათ „სულსური“. აი რავგართ იცინ ამათ ეს მოხსენიება. სიკედილის შემდეგ შეიდრეა დღეს უკან დაჰკვლენ ხუთ ექვს ცხვარს, სამ ოთხს ქათამს, ამეებს მოხარშვენ, მერე მოამზადებენ ექვსი—შვიდი დიდროვან ქვებებით ფლავს, და მზე რომ გადაიხრება, მაშინ მიიწევენ მთელ სოფლის ხალხს, რისა გამო წაიღენ კაციც, დედაკაციც, ქალიც და რძალიც, ერთის სიტყვით, მთელი სახლობა. მერე დასხმენ ხალხს, გაუშლიან სუფრას, დაულაგებენ წინ ყველას ოროდ ლავაშს, მიართმევენ ხორცს და უკანასკნელს დაუდგმენ, სამ სამ კაცს, მოტყევეულ სინით, ფლავს ხალხი შეჰხვლებს, და ბოლოს რაც წინ სუფრაზე დარჩება, მოხარშული ხორცები თუ ლავაშები, აიღებენ ხელში და მოითესებინან თავთავიანთ სახლებში, ლეინით გადაპურწულნი. მაგრამ ვიდრე ამ ნადიმის დრო მოვიდოდეს, დილით მისულა კაცი ერთ ხუთჯერ მიინც გაძლება. მართი სიტყვით გაბედვით ვიტყვი, რომ ქართველ კაცის ერთ ქორწილის ოდენი ინგილოს სულ—პურში ხარჯი მოსდის. სულ—პურში იქმნება მიპატყებული მთელი სოფელი და აი ამის მიზეზი: დედა-კაცები რომ მოვლენ სულ-პურში, თან მოიტანენ თითო ბაღია ფლავს, რომელსაც შევიდამ ხორცი ელაგება, ორ-სამ გამომცხვარ შოთის პურს, და რასაც სულის—პურში მოიტანენ, ორ ღმდენს კიდე მიცვალებულის პატრონისაგან თავის სახლში წაიღებენ, რომლითაც თითქმის ბარდი ბარში გამოდიან ორიგენი.—ეს ჩვეულება, რასაკვირველია, ხალხისათვის ძრიელ დიდი ზარალის მიმცემია; მაგრამ ვინ მოშლის იმას? მინ იქმნება ის ბედნიერი? რასაკვირველია, ისევე დროება. ის თუ გააუქმებს, თორემ სხვა ვერაფერ შეიძლება, განათლების გარდა. ის დროებას ენლა მანც უკლავთ. ამ გვართ ცხოვრებდნენ ინგილოები 1850 წლამდე—

სულთნის ღლისტანში გაქცევის შემდეგ 1844 წელს, ინგილოებში 1850 წლამდე ერთი ალიაქოთი იყო. ხალხი ფიქრობდა თავის ბედზე და არიცოდა რისათვის ხელი მოეკიდებინა. ბოლოს 1850 წელიწადს შეიდი კაცი ინგილოთაგან წავიდა ალაფერდის ეკლესიაში სალოცავათ. ბილეთი გამოკრთავთ შალიკისათვის, რომელიც მურთუხ ჰაჯიმ მოკლა ბელაქის და შარის შუა გზაზე 1863 წელს ქრისტიანობის გავრცელებისათვის. ამ გენერლის ჩაგონებით ესენი აქედგან პირდაპირ ქალაქში წასულიყვნენ, და მათ თხოვნით ენაზ მარანკოვს ნება დართვით მიტროპოლიტს ისიდორეს დაენათლა. აქედგან იწ-



ყო ინგილოების ნათელა და დიწყო მათ ცხოვრებაში ახალი ეპოქა. ბევრი მწუხარება გამოიარა ამ შეიღმა კაცმა მონათელისათვის ლეკების ხელში. ამ დროს აქ მოუარებათ მამაღიანების ბეგები იყვნენ და ესენი მათ აწუხებდნენ. ბევრი ამათვანი წყებლებით გატყაბეს. მაგრამ ამათ მაინც და მაინც თავის განზრახვაზე ხელი არ აიღეს. მეორე წელს (1851), თავიანთივე ცდილობით და წინამძღომლობით, ქალაქ წაიღეს სამოცი კაცი, რომელ რიცხვში მეც ურევივარ, და მონათელა. ძნაზ მარანცოვი, მისი ცოლი, რამდენიმე გენერალი, მიტროპოლიტი ისიდორე და მრავალი მღვდლები იდგნენ სიონის სობორაში და დეკანოზი ბასხარავი ნათელადა. მთავარ მართებელი ალტაცებაში იყო, როდესაც ინგილოები ინათლებოდნენ და ემაწილებს ეალერსებოდა. შალაქიდან წამოსვლის დროს, მისივე ბრძანებით დაგვირიგეს ხაზინი-დგან თვითო საჩოხე ლურჯი მოუდი და ცხრა—ცხრა მანეთი თეთრი ფული.

ამ წელიწადსე წაფხულში მოთავე მისიონერებისა შეიღ ინგილოს თხოვნით მოვიდა ინგილოების მოსანათლავათ მღვდელი იობი სისკაროვი. ხალხის ნათელა გახშირდა, და რადგანაც ხალხი ბევრი მოდიოდა მოსანათლავათ, და ემაზებე წერილი იყენენ, ამისათვის დასახარეს გუბებე და აავსეს ისინი წყლით.—ამათ გარშემო ხალხი ეხვია, მღვდელი კიდე მის ნაპირს იდგა, კითხულობდა ნათლობის წესს, კაცები და დედაკაცები კი თითო თითოთ იბანებოდნენ შიგ. ამ გუბებებში ერთი მხრიდან წყალი მომდინარეობდა, მეორე მხრიდან გადიოდა. ამ გვართ ძახი, ინგილოების დედა სოფელი, სრულიად მოინათლა თავის ნებით. მოვიდა რიგი ახლა სხვა სოფლების ნათელისა. მოინათლა ამ გვართევე მეშაბაში, შოთოკლო ალიბეგლო, შორალანი, ლალაფაშა, მასამლო, ზაგანი, მერხვიანი და სხვა. ნათლის ღებაში მიიღეს მონაწილეობა მრავალი თათარი და ქარელმა ლეკმა, მაგრამ რომელიმე ანგარიშით. ალიბათი ჯერ არ კისრულობდა მონათელას, მაგრამ რომ შეეტყო, ძახში და შორალანში ეკლესიები უნდა აშენდესო, ეთქვათ: „ძახში ერთ არშინზე ეკლესია, რომ აშენდება, მაშინ ჩვენც მოვინათლებითო.“ მათი აღთქმა ტყუილი გამოდგა. ისინი არ მოინათლნენ. რა იყო ამის მიზეზი? ისა, რომ ყველა საქმეს მოთმინებითი გაკეთება უნდა, ასჯერ უნდა გაიზომოს, ერთხელ გამოიჭრას; სიჩქარით საქმე თავს არ მოვა. ამათ მოინდომეს ყველასი ერთად მონათელა, რომელიც შეუძლებელი საქმე იყო. ხალხმა თავის ნებით იწყო. თავისი ნათელა და თავის საქმეს თვითონვე დააბოლოებდა.

მაინც მონათელაზე უარს ამბობდნენ ისინი მდიდარი კაცები იყვნენ. ეს უარის მყოფენი ბოლოს მიქცევის მიზეზნი გახდნენ. ლარბი ხალხი თავის ნებით ინათლებოდა. მას ქრისტიანობრივი სარწმუნოება უფრო სურდა. რა იყო ამის მიზეზი? მკითხველი ვგონებ ფიქრობს: ისაო, რომ მდიდარი ხალხი არაფერში საქირობდა და არც ვისიმე მოწყალეობა იყო მათვის საქირო; ღარიბი კი ჰგონებდაო, რომ მოვინათლოთ ხემწიფე რასმეს გვაჩუქებსო, მდიდარი გაეხდებოთო, მაგრამ მათი ანგარიში, რომ თავს ვერ მოვიდა, მაშინ მიიქცნენ. მართალია ესა? მართალია, თუ არა, უმეტესი ნაწილი განათლებულებისა, მაინც ასე ჰფიქრობდა შემდეგ ინგილოების მიქცევისა. რასაკვირველია არ დაკლდებოდნენ ისეთნიცა, რომელთაც მონათელაში ანგარიში ექმნებოდათ. მაგრამ საქმის მდგომარეობა და ფაქტების სინამდვილე მაინც სხვა მიზეზებს ბევრს გვიჩვენებს ინგილოების მიქცევისას. ჩვენ საზოგადო ხმას რა გავლენა აქვს თვითელს პირზე, ეს რასაკვირველია ცხადია. შეველა თვითოეული პირი მის ხმას, აზრს, ჩვე-

ულებას, ზნეს და მიმართულებას ემოჩილებოდა. ამისათვის კიდევ ამბობენ, რომ კაცი დროების მონა (Аргентъ) არისო. მართლაც, რომ მონა არის. საზოგადოებაში რაც მას თვითონა სურს, იმას ვერ აასრულებს. საზოგადოების აზრისა, ზნეობისა. ჩვეულებისა და მიმართულების წინააღმდეგი მას არ შეუძლიან, რადგან ეშინიან სასტიკათ დასჯისა, განკიცხვისა და ყვედრებისა. აი ეს იყო მდიდართან ნათელის ღებაზე უარის თქმის მიზეზი. ამას ჰქონდა მათზე და კიდევაცა აქვს მათი განმარტებელი ქრისტიანობისაგან გავლენა. იმათ რომ ჰკითხო მიზეზი თავიანთ მოუწათვლელობისა, მაშინვე დაუყოვნებლივ გიპასუხებენ: „როგორ შეიძლება ჩვენი მონათელაო. ჩვენ ლეკებში და თათრებში უცხოვრებთო, ერთი ქვეყანა ყველასა გვზრდის, ერთსაც ქვეშევართ ერთს ჰაერს ვყრისამთო, ერთმანერთში მისელა მოსელა გვაქვსო, გამარჯვების მაგიერათ, როდესაც ერთმანერთს შემოგყრივართ, სალამმელიქუმი გეთქვამს, გვირწმუნობთა ყველანი, რომ ჩვენს მუსულმანნი ვართო, და აბა ეხლა როგორ მოხერხდება ჩვენი მონათელაო.“ ჩვენ ერთხელ გავდგიუტებთა და მეორეთ ვერ ავლოკავთ.“ ამბობენ ინგილოურათ. მაგრამ თუ შარელები მოინათლებიან ჩვენც უარს არ ვიტყვი; ვიდრემდის კი ჩვენ ერთის მხრით გერცხვენან, მეორეს—გვეშინიან მდიდარი ინგილოები, მონათელის დიდგან დაწყებული, ყ.აველთვის ცდილობდნენ მიქცევას, მაგალ. სოფლის ლალაფაშას წარჩინებულებს რამდენჯერმე განეცხადებინათ თავისი სურვილი ზაქათალის ნაჩლინისათვის, მაგრამ ის თანახმა არ გამხდარ იყო. ბოლოს და ბოლოს რაღაცა მიზეზისა გამო თურმე ისინი მოჰყვნენ მგითებების შენებასა. ამ შემთხვევის მეორე წელიწადს ჰაჯი მურთუზას ბუნტი მოხდა, რომლის შემდეგაც იმათ მთელი სოფელი თან მიიყოლიეს და ნამდვლათ გამუსურმდნენ. ლალაფაშას მიჰყვა ზაგანი მასამლო მარსანი და შორალანის ნახევარი ხალხი, იენგინი, მოსული, მერხვიანი და სხვა. ეს საქმე იყო 1863 წელს. ამის შემდეგ პრიზობდება დიკეტა ეხლა ხუთილაა საქრისტიანო სოფელი: ძახი, მეშაბაში, ალიბეგლო, შოთოკლო და შორალანი. მსიები შეადგნენ პირველ მიზეზს ინგილოების მიქცევისას.

მეორე მიზეზი: ქრისტიანობრივი ქორწინების კანონი, რომელიც კაცს სამ ქორწინების ნებას აძლევს, მეტს კი არა. მერე ქალების სიცოტავე; მათივე ვერ შოენა ქრისტიანობაში სათხოვნელათ (\*). მხოველების წინ დაუხედავი ლაპარაკი მღვდლებზედ (\*\*).

აი მიზეზები, რომლისა გამო ინგილოებმა მუსურმანობა მიიღეს. მხლა უმეტესი ნაწილი ინგილოს ხალხისა მუსურმანია, რისაგამო ქრისტიანი ინგილოები შეწუხებულნი არიან, რადგან მამაღიანების მეტობა მათ ჰქელავს. მრისტიან ინგილოების შეწუხების შეწყვეტისათვის, ჩემის აზრით ძრიელ სასარგებლო იქმნებოდა, რომ ქრისტიანები ერთად ორ სამ სოფელში დაესახლებინათ. შექველია, რომ მაში ჩივილი მოისპობოდა და არც მუსურმანებს ექმნებოდათ მათზე ცუდი გავლენა.

ამაზე 1853 წელს მთავრობამ მოახდინა განკარგულება, და კიდევ მისცა ნება ალიბეგლოს. მეშაბაში და შოთოკლოს ქრისტიანებს ზოგნი ძახში გადასახლებულიყვნენ, ზოგნი კიდე შორალანში. მაგრამ ეს ბძანება ხალხმა თვითონვე არ აღასრულა, ვგონებ, ამი-

(\*) ისილე: სტატია 1866 წლის გაზეთის „დროების“ 24 № ჩვენგან დაწერილი, თუ გსურთ შეიტყოთ დაწერილობით ეს ამბავი.  
(\*\*) ისილე სტატია სათავით: „მხოველები ინგილოებში.“ 1867 წლის, ამავე გაზეთის 24 №-ში. დაბეჭდილი.

სათვის რომ ქრისტიანობამ კიდევ დაიწყო გავრცელება, მაშასადამე შიშინაობა ისპობოდა და ყველა პატარა სოფელს უშიშრათ მუსურმანებისაგან იქვე შეეძლო ეცხოვრნა, სადაც ცხოვრებდა. სასურველო იყო, რომ მთავრობას ეს განკარგულება ხელმეორეთ განემოტრებინა. ამის სარგებლობას მოვასხენებდი მკითხველს, მაგრამ უამისოთაც სტატიის სიდიდე ნებას არ მაძლევს.—

(შემდეგი იქნება).

სხვა და სხვა ამბავი.

ახალი ჟურნალი. მეროპის სამშვიდობო კონგრესის სამუდამო კამიტეტი აპირებს ბერნის კანტონში ცალკე ჟურნალის გამოცემას ამისთანა სათაურითა: „მეროპის შეერთებული შტატები“. იმის გამოსაცემათ ფული აი რა რიგათ უნდა შედგეს: გამოსცემენ 10 ფრანკიანს. აკციებს. ჯერ კი არაიენ იცის, თუ ვინ იქნება თავი რედაქტორი, მაგრამ თანამშემწეებათ ამბობენ ლუი ბლანს, მიკტორ-ჰუგოს, ბარნის, ბაკუნინს, შასენს, რეკლუსს, მაკის, ლემონიეს, ბრაუსს და სხვებს.

— მუხუდოს დიდხანს არ ეკარგება მცენარეობითი თვისება. შცხო ქვეყნის გახეთებაში სწერენ: „მრთმა ანგლიელმა სამის წლის წინათ მიიღო მალისიდიგან სამი მუხუდოს მარცვალი, რომელიც ყოფილ იყო ძველებურს ნანგრევში ნახულს ბოთლში. იმაში ნახეს პერგამენტიცა, რომელზედაც ეწერა, რომ ეს ბოთლი ორასის წლის წინათ არისო აქ ჩამარხული. ანგლიელმა ჩაავლო მიწაში ეს სამი მარცვალი. ამ ჟამად იმის ერთი კვალი სულ ამ მუხუდოთი აქვს გავსებული. იმისი ლერწვი ბევრათ უგრძესია მდამიო მუხუდოს ლერწვი; ისინი არიან დარიხულნი დიდ მომწანაო მუხუდოს პარკებითა: ერთი პარკი ხუთ გოჯა ნახევარია და სამი გოჯი სიმსრა აქვს; მეორე პარკი სიგრძით შვიდი გოჯი გამოდის და სიმსრათი გოჯი და იმის სამი მეოთხედი.

— მათმისაგან კვერცხის დება. მათმის ბუძუნდლოში ექვსასი კვერცხის მარცვალი იპოვება. ამისთვის ერთი ქათამი თავის სიცოცხლეში ექვსასი კვერცხის მეტს ვერ დასდებს. მათამი ცხრა წელიწადს სძლებს. იმისგან დადებული კვერცხები აი როგორ განაწილებდა. მამოტების შემდეგ პირველს წელიწადს ქათამი დასდებს ხუთმეტედგან ოცამდის, მეორე წელიწადს ასიდგან ას ოცამდის, მესამე წელიწადს ას ოციდგან ას ოცდა თუთხმეტამდის, მეოთხე წელიწადს ას ოციდგან ას თუთხმეტამდის, მეხუთე წელიწადს სამოციდგან ოთხმოცამდის, მეექვსე წელიწადს ორმოცდა ათიდგან სამოცამდის, მეშვიდეს ოცდა ხუთმეტედგან ორმოცამდის, მერვეს—თუთხმეტედგან ოცამდის და მეცხრეს ერთიდგან ათამდის. ამისთვის ოთხ წელიწადზე მეტი არ არის სასარგებლო, რომ კაცმა თითო ქათამი იყოლიოს. ზოგი ერთი ასე ამბობს, რომ თუ გინდა ქათამა, რაც შეიძლება მეტი კვერცხი დაღვასო, უნდა დაამწყვდიოვო ბნელს ადგილს და ცოტა საქმელი უნდა აძლიოვო.

— შესანიშნავი ქურდობა. მდღისის უწყებაში სწერენ: საზოგადო მაკლერის ოდესელი ვაჭრის პლექსანდრე ნორდმანის კანტონა იმყოფებოდა ბელინოს სახლში, რომელიც ღვას ტუატრის ქუჩაზე. წარსულს 16 ოკტომბერს ღამეს ამ კანტონიდან გამოუტანიათ ანგლიაში გაკეთებული რკინის კასა, რომელიც თუთხმეტს ფუტს იწონიდა. ამ კასაში ოციათასი მანეთის დოკუმენტები იყო და ათასი მანეთი ფულათ. მანტორის კარები, რომელნიც ქურდებს შეეტებათ, გამოდიოდა დიდს ქუჩაზე, სადაც მდროშეები დგებოდნენ და მახლობლათ რამოდენიმე სასტუმროებიც იმყოფებოდა. ამისთანა დიდს

ქუჩაზე გაქურდვა ძალიან გასაბედავია და ამისთვის ადგილობრივმა მთავრობამ განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია. ძალიან დაფაცურდნენ, რომ სადმე ეპოვნათ დამნაშავენი. მესამე დღეს ღამით ნაპარავი კასა ქელნერის აგარაზე ნახეს რუმი. მასსა გაეტებათ, ფული წაეღოთ და დოკუმენტები კი იქვე იყარა. ამ სახით კასის გაუტეხლობას ვერც იმის გოჯის სისქე რკინის კედლები ვერც ეშმაკური რაზა ვერ მოხმარებია! შეკრებილ ცნობებითა სჩანს, რომ კასა ოთხს მოუპარავს და ისინი ერთს მდროშეს წაუყვანია; იმათში ორი დაატუსაღეს და სხვებს ჯერ კიდევ ეძებენ. ამაზე საქმე აწარმოებს მდღისის საქალკო მმართველობის და ნიწილის სამსაჯულო მეციებელი.

— რუსული ქალაქის ფულის ჩუმათ მოქრა. 10 ნოემბრიდან გაზეთში Journal de Hawre სწერენ შემდეგს ამბავს იმ სამიხელოს გამოჩენაზე, სადაც სჭრიდნენ ყალბს რუსის ქალაქის ფულსა.

მრი, თუ სამი თვის წინათ ორი კაცი და ერთი ქალი მივიდნენ ჰაერს. იმათ სახელი და გვარი გამოიცვალეს და სანტ-ადრესში დაიჭირეს შუაგულს ბაღში ერთი პავილიონი (ბაღში გაკეთებული პატარა სადგომი). პარკის პოლიცია დიდი ხანია თვალყურს ადევნებდა ამ საქმესა და, რაკი შეიტყო ცოტაოდენი ამბავი ამ გვამებზე, მაშინვე აცნობა ჰაერის პოლიციასა. იმან კი თვალის დევნება დაუწყო ამ სამსა გვამსა, რომელნიც ძალიან წესიერად ცხოვრებდნენ და ამისგამო პოლიციამ მიზეზი ვერა უპოვა რა. შერო დიდი ყურადღება მიაქცია ერთს იმათგანს, რომელზედაც პარკის პოლიცია, სწერდა, რომ ეგ კაცი ბილეთებს ასაღებო. ბოლოს ის კაცი დაიჭირეს ქუჩაზე საღამოს ექვსს საათზე და უნახეს ბევრი ყალბი ბილეთები და ამასთანავე ჯიბიდან ამოართვეს ვასალები, რომლითაც ის კაცი ადებდა პავილიონში შესავლის კარებსა. დაჭერილი კაცი ჩუმათ დაატყვევეს და ეფრასი კამისარი რამდენიმე უპოლიციის მოხელე მაშინვე წაიღო სენტ-ადრესში, გაალო პავილიონში შესავალი კარები ისე, რომ არავის გაუგია. ამისიარი პოლიციის აგენტები შევიდნენ ბაღში, მივიდნენ პავილიონთან და იქ იპოვა დანარჩენი ორი გვამი, რომელნიც საქმეს ადგნენ. ისინი ძალიან შემინდნენ, მთ უფრო რომ პოლიციამ ერთს ხელში ლიტოგრაფიის ქვა უნახა. შევლანი დაწმუნდნენ, რომ იქვე უნდა ჰქონდათ გამართული ქალაქის ფულის საკეთებელი იარაღი. ამისარმა შეიპყრო ეს გვამები, მერმეთ შეუდგა სახლის გაჩხრკასა და ქვემო ეტაჟის ერთს ოთახში ნახა ყველა მასალა: ლიტოგრაფიული საბეჭდავი, მოსაჭრელი ფიცრები და სპილენძის ბეჭდები, რომელზედაც იყვნენ მოჭრილი რუსის ბანკის უმთავრესი პირების სახელები. როგორც დამნაშავენი გამოტყდნენ, ბილეთებს შვიდჯერ მაინც დავკრავდითო ბეჭდეს, მინამ დასაცვლელად წავიღებდითო. მაშინვე მთელი მასალა წაიღეს, შეპყრობილი ჩასეს სატუსალოში და პარკის გამომძიებელი მსაჯულების მოთხოვნით, პარკის გაგზავნეს. როგორც შეეიტყეთ დაჭერილს გვამებს—ერთს ჰქვიან შუმოვსკი, მეორეს იანოვსკი და ქალს მიკარი: სამივე უცხო ქვეყნელები არიან.

ამ შემთხვევის გამო ჰაერში ძალიან ამბავი იყო. სენტ-ადრესის საზოგადოებაში შეუმოვსკისა და იანოვსკის ყველა იცნობდა, თუმცა მარტივად და მყუდროდ ცხოვრებდნენ. ქვირაობით ისინი დადიოდნენ ძველს ეკლესიაში, რომლის სამრეკლოც შაფინის პავილიონის ახლოს დგას. ისინი სახით სულ არა გვანდნენ ერთმანერთსა, მაგრამ კტუა-განებით კი არ გაიჩხრადნენ ერთმანერთში. შეუმოვსკის უნდა ესაღებინა ბილეთები და იანოვსკის უნდა ევეთებინა. თებერვალში იანოვსკიმ უთხრა თავის მასპინძელს, რომ ორი კვირით სხვაგან უნდა წაიღო, მაგრამ ერთი თვეც გავიდა, რომ უკან აღარ დაბრუნებულა. ძალი მიკარი იანოვსკის სხვაგან ყოფნაში მივიდა სანტ-ადრესს. მალს ისე ჰქონდა დაბარებული, რომ ერთი და ერთი ავხანავი უნდა წასულიყო ანგლიაში იმის მოსაყვანათ, მაგრამ, რადგან დაუგვიანდა, ამისთვის ჰაერს მარტო გამოსწვია. იანოვსკის ბევრი ფულეები უნდა მიეღო, მაგრამ ნიადაგ კი გაჭირებაში იყო და თავის დროს სახლის ქირის ფულსაც ვერ აძლევდა. სახლი ოთხას ფრანკათ ჰქონდა დაქირავებული.

მინამ შეიპყრობდნენ, ორი სამი დღის წინათ იმან მისცა სახლის პატრონის ნამდვილი რუსის კრედიტის ბილეთი, მაგრამ სახლის პატრონმა უთხრა: „ახლა ეგ ბილეთი დაიტრავით და მეორე თვეში კი სრულიად მომეცითო სახლის ქირა.“